სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

01 მარტი 2022 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ივანე კვიტაიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;

ირინე სადრაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწპავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ:

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება (CPV: 30125100 - ტონერიანი კარტრიჯები).

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფარგლებში ოთხი კომპლექტი (კომპლექტში 4 ფერი) ფერადი კარტრიჯების (CPV: 30125100 - ტონერიანი კარტრიჯები) დოკუმენტაცია (დანართი).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ათი შესაძლო პოტენციურ მომწოდებელს დაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და შესასყიდი საქონლის ამსახველი დოკუმენტაცია. საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასები:

1) პოტენციური მიმწოდებელი 1 – ერთი კომპლექტი ფერადი კარტრიჯების ღირებულებაა 1 366.28 (ერთი ათას სამას სამოცდაექვსი ლარი და 28 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით,

2) პოტენციური მიმწოდებელი 1 – ერთი კომპლექტი ფერადი კარტრიჯების ღირებულებაა 1800.00 (ერთი ათას რვაასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა პოტენციური მიმწოდებელი 1-ის მიერ მოწოდებული ერთეულის ფასით და განისაზღვრა ტენდერის საორიენტაციო ღირებულება 4 631.00 (ოთხი ათას ექვსას ოცდათერთმეტი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიას თავმჯდომარეობდა:	დავით ხვედელიძე -
კომისიის წევრები:	ია ძებისაური -
	ნიკო გიგოლაშვილი-
	ივანე კვიტაიშვილი -
კომისიის აპარატის წევრი:	ირინე სადრაძე -